



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development  
and Cooperation SDC

**ISET** POLICY  
INSTITUTE  
International school of economics at TSU

## პოლიტიკის დოკუმენტი:

ასაკი და გენდერი  
სამხრეთ კავკასიაში



შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტის შინაარსი არის ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობა და შეიძლება არ ასახავდეს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პოზიციას.

„სიბერე ძირითადად ქალების პრობლემას წარმოადგენს“

რობერტ ბატლერი, სიბერის ეროვნული ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, აშშ

## როგორ განსხვავდება დაბერების პროცესი ქალებსა და მამაკაცებში მსოფლიოში?

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე სოციალური პოზიციების მისანიჭებლად, გენდერული და ასაკობრივი ნიშნით როლების დასადგენად და მწირი რესურსების გასანაწილებლად საზოგადოებაში იყენებდნენ სოციო-ბიოლოგიურ მარკერებს – სქესსა და ასაკს. სოციალურ მეცნიერებებში მკვლევრები ცალ-ცალკე განიხილავდნენ, თუ როგორ განაპირობებდა სქესი და ასაკი ადამიანის გამოცდილებას, სოციალურ როლებს და რესურსების განაწილებას. თუმცა კონცეპტუალური ჩარჩო და ემპირიული მტკიცებულება იმის გასაგებად, თუ როგორ ურთიერთქმედებს ასაკი და სქესი სოციალურ განშრეებაზე, მხოლოდ 1980-იან წლებში ჩამოყალიბდა (ლევი, 1988; ესტესი, სხვები, 1984).

რაც შეეხება ასაკს, არსებობს გარკვეული, ისტორიულად და სოციალურად განსაზღვრული გარდამავალი მაგალითები, როდესაც ადამიანი გადადის ცხოვრების ერთი ეტაპიდან მეორეზე (განათლების მიღება, შრომის ბაზარზე შესვლა, ქორწინება, მშობლის სტატუსის მიღება და პენსიაზე გასვლა). ეს მაგალითები და ასაკობრივი ცვლილების გამოცდილება განსხვავებულია ქალებსა და კაცებში, ქვეყნისა და განსხვავებული კულტურული ტრადიციების მიხედვით. უფრო მეტიც, ეს გამოცდილება, როგორც წესი, მეტად დინამიკურია იქ, სადაც ეკონომიკური პირობები იცვლება და, შესაძლოა, ნაკლებად დინამიკურიც იყოს, სადაც სოციალური დამოკიდებულებები და ნორმები განიცდის ტრანსფორმაციას.

ეკონომიკური ლიტერატურა სქესისა და ასაკის ურთიერთკავშირის შესახებ ხაზს უსვამს შემდეგ ტენდენციებს:

- **მთელ მსოფლიოში, ქალები კაცებზე დიდხანს ცოცხლობენ.** გლობალურად, სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი 2020 წელს ქალებისათვის 75 წელი იყო, ხოლო კაცებისათვის – 70 წელი. მიუხედავად იმისა, რომ ასაკობრივი განსხვავება უფრო მცირეა განვითარებად ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, სამხრეთ კავკასიის ჩათვლით, განსხვავება უფრო დიდია (PRB მსოფლიო მოსახლეობის მონაცემთა ცხრილი, 2020 წელი)<sup>1</sup>.
- **ხანდაზმული ქალები ხანდაზმულ კაცებზე უფრო ღარიბები არიან განვითარებულ ქვეყნებშიც კი.** განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, ევროკავშირი) 65+ მოსახლეობაში სიღარიბის მაჩვენებელი ქალებში უფრო მაღალია, ვიდრე კაცებში. ეს განსხვავება წლების განმავლობაში შემცირდა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში სიღარიბის მაჩვენებელს შორის სხვაობა 65 წელზე უფროსი ასაკის ქალებსა და კაცებს შორის 1981

<sup>1</sup> საქართველოში ეს სხვაობა ყველაზე დიდია, რადგან ქალები სიცოცხლის ხანგრძლივობით 8 წლით აჭარბებენ კაცებს, სომხეთსა და აზერბაიჯანში, შესაბამისად, 7 და 5 წლით (2020).

წელს 8,1% იყო – ე.ი. 8,1%-ით მეტი ქალი ცხოვრობდა სიღარიბეში (ესტესი და სხვები, 1984), ხოლო 2020 წელს 65+ ქალთა სიღარიბის მაჩვენებელი 10.1%-ს გაუტოლდა, ხოლო კაცებში ეს ციფრი 7.6% იყო (ჯავაიდი & ტაკერი, 2021). ევროპის ქვეყნებში 65 წელზე უფროსი ასაკის ქალებში სიღარიბის მაჩვენებელი 16%-ს შეადგენს, ხოლო კაცებში – 12%-ს (UN Women, 2015). მარტო მცხოვრები ხანდაზმული ქალები არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან სიღარიბის 23%-იანი მაჩვენებლით, კაცებში იმავე კატეგორიის 17%-თან შედარებით (იქვე).

- ლიტერატურაში კონსენსუსი იქნა მიღწეული იმაზე, რომ **გენდერული უთანასწორობები ხანდაზმულ ასაკში დიდწილად გამოწვეულია ქალებისა და მამაკაცების სხვადასხვა შემოსავლის პროფილითა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის ისტორიით** (ესტესი, სხვები, 1984; ლევი, 1988; ვართანიანი, სხვები, 2002). ქალთა შემთხვევაში გაცილებით დიდია იმის შანსი, რომ დროთა განმავლობაში შრომის ბაზარზე მათი მონაწილეობა შეფერხდეს (დედობის, ბავშვის აღზრდის მოვალეობების გამო და სხვ.). მთლიანობაში, ქალებს შრომის ბაზარზე მონაწილეობის უფრო დაბალი მაჩვენებლებიც აქვთ (ორტიზ-ოსპინა, სხვები, 2018) და დასაქმებული ქალები, ძირითადად, კონცენტრირებულნი არიან დაბალანაზღაურებად პროფესიებში – ისეთ პროფესიებში, რომლებიც უფრო მეტ მოქნილობას სთავაზობს საოჯახო პასუხისმგებლობის მქონე ქალებს. ეს ფაქტორები განაპირობებს ქალების საპენსიო შეღავათების შემცირებას ბევრ ქვეყანაში (ესტესი, სხვები, 1984; ასევე რენკი & ვილიამსი, 2010).
- ზოგადად, მიმდინარე ანგარიშების (NIA, 2019; NASEM, 2020) თანახმად, მეტად მოსალოდნელია, რომ **ხანდაზმულებს არ ჰქონდეთ სოციალური მხარდაჭერა**, ჩამოუყალიბდეთ პრევენციობადი დაავადებები ან შეზღუდული შესაძლებლობები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იყო (მაგ. ტრავმები, სოციალური იზოლაცია და გარიყულობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები), და განიცადონ სასტიკი მოპყრობაც. ვინაიდან დაუცველი მოხუცების უმეტესობას (განსაკუთრებით, „მეოთხე თაობას“ ან 75+ შორის) ქალები წარმოადგენენ, ეს პრობლემებიც „ძირითადად ქალების პრობლემადა“ იქცა.

საკითხავია, ხანდაზმული ქალების პრობლემები მიეკუთვნება, ზოგადად, დაბერების პრობლემას, თუ არის რაიმე განსაკუთრებული მათ მდგომარეობაში, რაც გენდერული უთანასწორობიდან გამომდინარეობს და სიცოცხლის ციკლის განმავლობაში ვლინდება. მნიშვნელოვანია დაისვას კითხვა, თუ რა პოლიტიკებია საჭირო, რომ მოხდეს ასაკით და არათანასწორუფლებიანობით გამოწვეული უთანასწორობების დაძლევა. წინამდებარე პოლიტიკის მოკლე მიმოხილვის მიზანია, განსაზღვროს საერთო გენდერული და ასაკობრივი სურათი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.


**გენდერული და ასაკობრივი სურათი სამხრეთ კავკასიაში**

რა ვითარებაა სამხრეთ კავკასიაში სქესა და ასაკთან დაკავშირებული პრობლემების მხრივ, რომლებიც, ზოგადად, უკვე აღწერილია ლიტერატურაში.

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში, ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი მეტია კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელზე. მსოფლიო მოსახლეობის შესახებ ანგარიშის (PRC, 2020) მიხედვით, საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობა კაცებისთვის 70 წელი იყო, ხოლო ქალებისათვის – 78 წელი. **საქართველოში ქალებისა და კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის სხვაობა ყველაზე დიდია** ამ სამ ქვეყანას შორის, რადგან სომხეთსა და აზერბაიჯანში იდენტური სხვაობა, შესაბამისად, 7 და 5 წელს შეადგენს. სიცოცხლის ხანგრძლივობებს შორის ეს განსხვავება, უმეტესწილად, განპირობებულია **კაცების სიცოცხლის უფრო დიდი ხანგრძლივობით სომხეთსა და აზერბაიჯანში** (72 და 73 წელი, შესაბამისად) მაშინ, როცა ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა, ძირითადად, ისეთივეა, როგორც საქართველოში (79 და 78, შესაბამისად).

დემოგრაფიული მონაცემებით დგინდება, რომ საერთო ჯამში, საქართველოში 65 წელზე უფროსი ასაკის ყოველ 100 კაცზე 166 ქალია, ხოლო 80+ ასაკობრივ ჯგუფში ქალების წილი 68%-ს აღწევს.

**საქართველო: მამაკაცებისა და ქალების წილი ასაკის მიხედვით, 2021**



წყარო: საქსტატი

■ Men ■ Women

სიტუაცია სომხეთში ოდნავ განსხვავებულია. ეროვნული სტატისტიკის თანახმად, მთლიან მოსახლეობაში ქალების საერთო წილი დაახლოებით იგივეა, რაც საქართველოში (53%), თუმცა

65 წელზე უფროსი ასაკის ყოველ 100 კაცზე 155 ქალია, ხოლო 80 წელს ზემოთ ქალების წილი მხოლოდ 64%-ია (საქართველოში 68%-თან შედარებით).

აზერბაიჯანში 65 წელზე უფროსი ასაკის ყოველ 100 კაცზე 134 ქალია, ხოლო 80+ კატეგორიაში ქალების წილი უფრო დაბალია, ვიდრე დანარჩენ ორ ქვეყანაში და 61%-ს უტოლდება.

ამგვარად, ზრდასრულ ასაკში გენდერული თანაფარდობა უფრო ზომიერია აზერბაიჯანში და მეტად განსხვავებულია საქართველოში, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს საქართველოში კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობის უფრო დაბალი მაჩვენებლით სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით.

## ემოგრაფიული განაწილება, საცხოვრებელი პირობები და სიღარიბე ხანდაზმულ ქალებში

2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოში ხანდაზმული მოსახლეობა არათანაბრად იყო განაწილებული რეგიონებს შორის. კერძოდ, 65 წელს გადაცილებულთა ყველაზე მცირე წილი დედაქალაქ თბილისშია გადანაწილებული (12%), ხოლო ყველაზე დიდი წილი – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მთიან რეგიონებში (28.3%). აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონებს ძალიან შეზღუდული წვდომა აქვთ ინფრასტრუქტურაზე<sup>2</sup>. გარდა ამისა, ისინი ყველაზე ღარიბ რეგიონებად მოიაზრება იმ ხანდაზმულთა ყველაზე მაღალი წილით, რომლებიც საარსებო მინიმუმს ან სოციალურ დახმარებას იღებენ<sup>3</sup>. რაც შეეხება ყველაზე მოხუც ჯგუფს (80 წელზე მეტი), უნდა აღინიშნოს, რომ 80+ ქალების (და კაცების) უმრავლესობა საქართველოს სოფლებში ცხოვრობს, შესაბამისად, ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხით. ეს პირდაპირ გავლენას ახდენს მათი ცხოვრების ხარისხსა და ჯანმრთელობაზე, კერძოდ, დროული და ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურებების ხელმისაწვდომობაზე. ამის საპირისპიროდ, აზერბაიჯანშიც და სომხეთშიც მოსახლეობის უფრო თანაბარი ასაკობრივი განაწილება შეინიშნება სხვადასხვა რეგიონში; ხანდაზმული ქალებისა და კაცების თანაბარი წილი ცხოვრობს დედაქალაქში და ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში. არც სოფლისა და ქალაქის რეგიონებს შორის არის საგრძნობი განსხვავება (განსაკუთრებით სომხეთში)<sup>4</sup>.

ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც სიღარიბის მაჩვენებელი საპენსიო ასაკის მქონე ქალებში გაცილებით მაღალია, ვიდრე საპენსიო ასაკის მქონე კაცებში (UNSTATS, 2015), სამხრეთ კავკასიაში ხანდაზმული ქალები ხანდაზმულ კაცებთან შედარებით არსებითად უფრო მაღალი სიღარიბის რისკის წინაშე არ დგანან. მაგალითად, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ

<sup>2</sup> რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში გაზომარაგების ცენტრალურ სისტემაზე წვდომა შინამეურნეობების მხოლოდ 27%-ს ჰქონდა, ინფრასტრუქტურულად რიგით მეორე ყველაზე ღარიბი რეგიონის, სამეგრელო-ზემო სვანეთის შინამეურნეობების 54,8%-თან შედარებით.

<sup>3</sup> 2014 წლის მონაცემებით, 65 წელს გადაცილებულთა წილი: 46,5% რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში თბილისის 5,5%-თან შედარებით.

<sup>4</sup> წყარო: შესაბამისი ქვეყნების ეროვნული სტატისტიკური სამსახური.

შედგენილი კვლევა საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში სიღარიბის მაჩვენებლებზე მიუთითებს, რომ საპენსიო ასაკზე უფროს კაცებში, ქალებთან შედარებით, უფრო დაბალი სიღარიბის მაჩვენებელია<sup>5</sup>, თუმცა განსხვავება არ არის დიდი (12,9 % საპენსიო ასაკის კაცებში და 14,4% – ქალებში). ხანდაზმულთა სიღარიბის მაჩვენებელი, ზოგადად, უფრო დაბალია, ვიდრე ეროვნული სიღარიბის მაჩვენებლები, რომელიც 18,9%-ს უტოლდება.

გარდა ამისა, იგივე ეხება პენსიონერებს იმ ოჯახებში, რომლებსაც ქალები მართავენ და ოჯახებში, რომლებსაც კაცები უძღვებიან. მაგალითისათვის, 2021 წელს სიღარიბის მაჩვენებელი იმ პენსიონერთა შორის, რომლებიც ქალის მიერ გაძღოლილ ოჯახებში იყვნენ, 13,6%-ს წარმოადგენდა კაცის მიერ მართულ ოჯახებში მყოფი პენსიონერების 13,8%-იანი სიღარიბის მაჩვენებელთან შედარებით, რაც შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ საქართველოს აქვს ფიქსირებული საპენსიო შეღავათების სისტემა, სადაც შეღავათების მოცულობა დაფუძნებულია საარსებო მინიმუმის მნიშვნელობაზე მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებში პენსიის ოდენობა ხშირად განპირობებულია პირის შენატანებით მისი მუშაობის განმავლობაში. ეს უკანასკნელი მიდგომა კი განაპირობებს სხვაობას ხანდაზმულთა შემოსავალში იმ კაცების სასარგებლოდ, რომლებსაც უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ სიცოცხლის განმავლობაში, ვიდრე ქალებს. გარდა ამისა, ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, რაც მათი დანაზოგის კიდევ უფრო მეტ წლებზე განაწილებას იწვევს.

სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებშიც მსგავსი სურათია. სომხეთში 2020 წელს 65+ ადამიანებში სიღარიბის მაჩვენებლები ყველაზე დაბალი იყო სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით (22,3%, ზოგადი მოსახლეობის 27%-თან შედარებით). ანალოგიურად, აზერბაიჯანში საპენსიო ასაკის ადამიანებში (60+) სიღარიბის იმაზე დაბალი მაჩვენებლებია, ვიდრე, თითქმის, ნებისმიერი სხვა ასაკობრივი კატეგორიის ადამიანებში (IMF, 2003). თუმცა, სურათი იცვლება, როდესაც საქმე იმ ხანდაზმულ ადამიანებს ეხება, რომლებიც მარტო ცხოვრობენ ან ოჯახს უძღვებიან. აზერბაიჯანში იმ ოჯახების სიღარიბის მაჩვენებელი, რომელთაც 60+ ადამიანი უძღვებოდა უფრო მაღალი იყო, ახალგაზრდების მიერ გაძღოლილ ოჯახებთან შედარებით<sup>6</sup>.

მატერიალური ფორმით გამოხატული სიღარიბის გარდა, არსებობს დაბერების სხვა ასპექტები, რომლებიც ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხზე ახდენს გავლენას. ქვრივობა სიბერეში ცხოვრების ხარისხის გაუარესების კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორია (პენა-ლონგობარდო, 2021), რაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან უარყოფით ეფექტებთან, სოციალურ იზოლაციასა და დეპრესიასთან არის დაკავშირებული. **საქართველოში 65 წელზე უფროსი ასაკის ქალების დაახლოებით 59% იყო დაქვრივებული, იმავე ასაკის კაცების 18,7%-თან შედარებით.** ქვრივობას ხშირად თან ახლავს სოციალური იზოლაცია. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოში 65+ ქალების 20% ცხოვრობდა მარტო, ხოლო

<sup>5</sup> აქ მოცემული რიცხვები ეხება ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელს, რომელიც განიმარტება, როგორც ისეთ ოჯახში ცხოვრება, სადაც მოხმარება ერთ ზრდასრულზე საშუალო მოხმარების 60%-ზე დაბალია.

<sup>6</sup> მონაცემები დეტალურად აქ არ არის მოწოდებული, ვინაიდან სიღარიბის დეტალური გენდერული და ასაკობრივი ანალიზი ხელმისაწვდომია მხოლოდ 2001 წლისთვის, როდესაც სიღარიბის მაჩვენებლები ზოგადად გაცილებით მაღალი იყო აზერბაიჯანში, ვიდრე დღესაა.

65+ კაცების – მხოლოდ 11%. 65 წელზე უფროსი ასაკის კაცების უფრო დიდი ნაწილი იყო დაქორწინებული იმავე ასაკის ქალებთან შედარებით. კვლევები აჩვენებს, რომ ხანდაზმულები, მათი დიდი ოჯახებისაგან დამოუკიდებლად, სოფლად განცალკევებით ცხოვრებისკენ არიან მიდრეკილნი, რაც ხელს უწყობს ქალების სოციალურ იზოლაციას და ცუდ პირობებს სიბერეში. ანალოგიური სიტუაცია შეინიშნება **აზერბაიჯანშიც. 60 წელს გადაცილებული ქალების დაახლოებით 55% იყო დაქვრივებული, კაცების 16%-თან შედარებით.**

გარდა ამისა, სამი ქვეყნიდან არცერთის სოციალური უზრუნველყოფის სქემები არ ითვალისწინებს შეღავათებს საპენსიო ასაკის დაქვრივებული პარტნიორებისთვის (გედბერი, 2011; საყოველთაო პენსიები აზერბაიჯანში, 2016; SSA, 2018). **საქართველოში** ეს იმას ნიშნავს, რომ ქალები დაქვრივებისას, სავარაუდოდ, დაკარგავენ შემოსავალს თავიანთი პარტნიორების პენსიის სახით, შესაბამისად, დაკარგავენ დამატებითი პირის შემოსავალთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს. **აზერბაიჯანში** ქალებისა და კაცების შემოსავლებს შორის დიდი სხვაობა აისახება კაცებისა და ქალების პენსიას შორის სხვაობაშიც (შრომის პენსიისთვის, რომელიც მოიცავს ხელფასზე დაფუძნებულ დაზღვევის კომპონენტს). უფრო მეტიც, ქალები უფრო ხშირად მუშაობენ არაფორმალურ სამუშაოებზე, რაც პენსიაზე გავლის შემდეგ დაბალ შემოსავალს მოიაზრებს. **სომხეთშიც** მსგავსი ვითარება შეიმჩნევა, თუმცა 60 წელზე უფროსი ასაკის ქალებში ქვრივობის მაჩვენებელი, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან შედარებით, გარკვეულწილად, უფრო დაბალია<sup>7</sup>. თუმცა შრომისუნარიან წლებში შემოსავლებს შორის დიდი სხვაობა განაპირობებს გენდერებს შორის არათანაბარ საპენსიო შემოსავალსაც.

## სამუშაო ძალაში მონაწილეობა და ქალთა და კაცთა არათანაბარი ანაზღაურება

ბევრ ქვეყანაში, **სამუშაო ძალაში მონაწილეობა და არათანაბარი ანაზღაურება** ქალებსა და კაცებს შორის არათანაბარი შემოსავლის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია ხანდაზმულ ასაკში. სამხრეთ კავკასიაში არათანაბარი ანაზღაურების მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე განვითარებულ მსოფლიოში. **საქართველოში ქალები თვიურად კაცების თვიური შემოსავლის 67,6%-ს გამოიმუშავენ** (დაახლოებითი განსხვავება 2020 წლის ნომინალურ თვიურ შემოსავალზე დაყრდნობით). იგივე მაჩვენებელი **2020 წელს 63.3%-ს შეადგენდა აზერბაიჯანში და 60%-ს – სომხეთში** (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020a, 2020b; პასტორე, სხვები, 2016).

შესაბამისი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით სამხრეთ კავკასიის ზოგიერთ ქვეყანაში (კერძოდ, საქართველოში და სომხეთში), **მამაკაცებისა და ქალების ეკონომიკურ აქტივობას შორის ძირითადი განსხვავება რეპროდუქციულ ასაკში (25-34, 35-44) იჩენს თავს.** მაგალითად, საქართველოში ქალების ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია 25-დან 34 წლამდე კაცების მაჩვენებელთან შედარებით, რაც რეპროდუქციული ასაკის

<sup>7</sup> 2011 წლის აღწერის მონაცემებით, 60-69 წლის ქალების 33% იყო დაქვრივებული კაცების 6%-თან შედარებით, 70+ ასაკის პირებში კი ეს მაჩვენებელი 62%-ს შეადგენდა ქალებისთვის, 25%-ს – კაცებისთვის. ეს მაჩვენებლები აზერბაიჯანისა და საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელზე დაბალია.

პიკს წარმოადგენს (2020 წლის მონაცემები). ქალების სამუშაო ძალაში მონაწილეობა 45-54 წლის ასაკში იზრდება და შემდეგ კვლავ მცირდება 55 წლის შემდეგ (სავარაუდოდ, საშინაო მოვალეობების გაზრდის მიზეზით, როგორცაა შვილიშვილების მოვლა-პატრონობა). სომხეთშიც (2018 წლის მონაცემებით) მსგავსი ვითარება შეინიშნება და მამაკაცებისა და ქალების ეკონომიკურ აქტივობას შორის სხვაობა ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 25-34 წლის ასაკში აღწევს. საქართველოს მსგავსად, სხვაობა მცირდება 45-49 წლის ასაკში და შემდეგ კვლავ იზრდება.

ამის საპირისპიროდ, **სამუშაო ძალაში მონაწილეობის მაჩვენებლებს შორის სხვაობა გაცილებით დაბალია აზერბაიჯანში** (2020 წლის მონაცემებით), იმის გათვალისწინებით, რომ შრომის ბაზარზე ხშირია სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების შემთხვევები. საერთო ჯამში, 15+ მოსახლეობისთვის, ქალების 64% და კაცების 69% ეკონომიკურად აქტიურია. თუმცა შემოსავლებს შორის სხვაობა ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია, რადგან ქალები უფრო დაბალანაზღაურებად სამუშაოზე და ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ, რაც ხელს უწყობს გენდერული ნიშნით შემოსავლებს შორის განსხვავებას ხანდაზმულ ასაკში; მიუხედავად იმისა, რომ ქალების სამუშაო საქმიანობა არ წყდება რეპროდუქციულ ასაკში.

## დასკვნები და პოლიტიკის შესაძლო ვარიანტები

მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, სამხრეთ კავკასიაშიც გვხვდება ხანდაზმულთა შორის გენდერული უთანასწორობები, რიგი მნიშვნელოვანი განსხვავებებით. კერძოდ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში კაცებისა და ქალების შემოსავლებს შორის ბევრად უფრო დიდია სხვაობა, ვიდრე ევროპის განვითარებულ და განვითარებად ეკონომიკებში (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020a, 2020b; პასტორე, სხვები, 2016). შრომის ანაზღაურებასა და დასაქმების წლებს შორის სხვაობა იწვევს არათანაბარ საპენსიო შემოსავლებსაც, განსაკუთრებით, აზერბაიჯანისა და სომხეთის საპენსიო სისტემების პირობებში.

*პოლიტიკის შესაძლო ვარიანტები*, რომელთა დახმარებითაც ზემოაღნიშნული უთანასწორობების აღმოფხვრაა შესაძლებელია, შესაძლოა მოიცავდეს:

- აღნიშნულ ქვეყნებში დაბალი პენსიის მქონე ქვრივებისათვის (როგორც ქალებისათვის, ისე კაცებისათვის) დამატებითი შეღავათების შემოღებას. აღნიშნული ზომის მიღება შეამცირებს როგორც ქალების მოწყვლადობას მერყევი შემოსავლის მიმართ, ისე ხანდაზმულ ასაკში ოჯახის სხვა წევრებზე დამოკიდებულებას.
- შრომის ბაზრის ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული სეგრეგაციის დაძლევას სექტორების მიხედვით და გაათანაბრებს კაცებისა და ქალების ხელფასს შორის სხვაობას. აღნიშნული პოლიტიკები, მათ შორის, გულისხმობს ახალგაზრდა ქალებისა და გოგონებისათვის საჭირო პირობების შექმნას განათლებისა და მაღალანაზღაურებად ტექნიკურ და მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) სფეროებში კარიერის გასაგრძელებლად, სადაც ქალები ამჟამად ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. ეს ზომები შრომის კოდექსში „პროფესიული და



პირადი ცხოვრების“ ბალანსის უფლებების კოდიფიცირების პარალელურად უნდა გატარდეს, როგორც კაცებისათვის, ისე ქალებისთვის<sup>8</sup>, რაც თავიდან აგვარიდებს ქალების დისკრიმინაციას მათ მიერ ოჯახზე ან ბავშვებზე ზრუნვის მიზეზით მოქნილი გრაფიკის მოთხოვნის შემთხვევაში. ბოლოს, საინფორმაციო და პროპაგანდული კამპანიების მეშვეობით აუცილებელია ისეთ სოციალურ აღქმებთან ბრძოლა, რომლებიც მხოლოდ ქალებს აკისრებს პასუხისმგებლობას მცირეწლოვან ბავშვებსა და დახმარების საჭიროების მქონე ოჯახის წევრებზე ზრუნვაზე. ამგვარად, სახელმწიფო დონეზე უნდა მოხდეს კაცებსა და ქალებს შორის არაანაზღაურებად საოჯახო საქმეებზე, პასუხისმგებლობების განაწილების მხრივ, თანასწორობის ხელშეწყობა.

რაც შეეხება საქართველოს, შემოსავლებს შორის სხვაობა აქ ნაკლებად მნიშვნელოვანია საპენსიო შემოსავლის შემთხვევაში, რადგან პენსიის მოცულობა არ არის დამოკიდებული შრომის ბაზარზე არსებულ სტატუსზე ან ხელფასზე. მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ საქართველოში ქალები სიცოცხლის ხანგრძლივობით თითქმის რვა წლით აჭარბებენ კაცებს, ხელს უწყობს მათ მოწყვლადობას დაბერებასთან დაკავშირებული სხვა ნეგატიური გავლენების მიმართ (კერძოდ, ჯანმრთელობაზე გავლენა, სოციალური იზოლაცია, დეპრესია).

ამ მხრივ, განსახორციელებელი პოლიტიკის შესაძლო ვარიანტები შესაძლოა „აქტიური დაბერების“ პოლიტიკაზე კონცენტრირდეს, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ აქტივობას და ხანდაზმულთა ჩართულობას. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პერსპექტივიდან, ასაკთან დაკავშირებული დაავადებების (დემენციის, ალცჰეიმერის, დეპრესიის) ირგვლივ არსებული სტიგმის აღმოფხვრაზე მუშაობა სასარგებლო იქნება როგორც ხანდაზმულთათვის, ისე მათი ოჯახებისათვის.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასაკობრივი და გენდერული პროფილის შესახებ ბოლო წლებში მონაცემები უფრო ხელმისაწვდომი გახდა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით სამხრეთ კავკასიაში სქესისა და ასაკის ურთიერთმიმართების შესახებ. მაგალითად, ხანდაზმული მამაკაცებისა და ქალების საკუთრებაში არსებულ აქტივებს შორის განსხვავებასთან დაკავშირებით. ეკონომიკური ასპექტის პარალელურად, პოლიტიკის შემქმნელებისათვის მნიშვნელოვანია შეაფასონ სხვადასხვა სქესის ხანდაზმულთათვის ხელმისაწვდომი სოციალური მხარდაჭერის სისტემების ხარისხი, ასაკთან დაკავშირებული დაავადებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების (ტრავმების და ფსიქიკური ჯანმრთელობის) სიჭარბე და მათი მოგვარების შესაბამისი გზები. მონაცემების ნაკლებობის გამო, ცოტა რამ არის ცნობილი სამხრეთ კავკასიაში „აქტიური დაბერების“ პერსპექტივებისა და ტენდენციების შესახებ, ასევე იმის შესახებ, თუ რამდენად განაპირობებს სოციალური ნორმები კაცებისა და ქალების დაბერების განსხვავებულ გამოცდილებას. ეს ყველაფერი ის მნიშვნელოვანი საკითხებია, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ კვლევას.

<sup>8</sup> მსგავსი კანონმდებლობა არსებობს ევროკავშირში, რომელიც კოდიფიცირებულია შემდეგ დირექტივებში: [დირექტივა 2019/1158](#); [დირექტივა 2019/1158](#); [დირექტივა 2006/54](#); [დირექტივა 2010/41](#).

## გამოყენებული ლიტერატურა

- Estes, C.L., Gerard, L., & Clarke, A. (1984). Women and the Economics of Ageing. *International Journal of Health Services*, 14(1), 55–68. <http://www.jstor.org/stable/45130062>.
- Europe, Eurostat Ageing. (2017). *Statistics on pensions, income and expenditure*.
- International Monetary Fund. (2003). *Azerbaijan Republic: Poverty Reduction Strategy Paper*. IMF Country Report No. 03/105.
- Javiad, S. & Tucker, J. (2021). National snapshot: Poverty among women & families, 2020. *National Women's Law Center*. Available at: <https://nwlc.org/wp-content/uploads/2021/11/NationalSnapshotFS-1.pdf>
- Levy, J.A. (1988). Intersections of gender and aging. *The Sociological Quarterly* 29.4: 479-486 <https://www.jstor.org/stable/pdf/4121091.pdf>.
- National Academies of Sciences, Engineering, and Medicine. (2020). *Social isolation and loneliness in older adults: Opportunities for the health care system*. National Academies Press.
- National Institute on Aging. (2019). Social isolation, loneliness in older people pose health risks. *Natl Inst Aging*.
- OECD. (2021). *Pensions at a Glance*. Available at: [oecd.org](https://oecd.org).
- Ortiz-Ospina, E., Tzvetkova, S., & Roser, M. (2018). *Women's employment*. Published on OurWorldInData.org. Available at: <https://ourworldindata.org/female-labor-supply> [Online Resource].
- Peña-Longobardo, L.M., Rodríguez-Sánchez, B., & Oliva-Moreno, J. (2021). The impact of widowhood on wellbeing, health, and care use: A longitudinal analysis across Europe. *Economics & Human Biology*, 43, 101049.
- PRB. (2020). *World Population Data Sheet*. Available at <https://interactives.prb.org/2020-wpds/>
- Pressman, S. (1998). The gender poverty gap in developed countries: causes and cures. *The Social Science Journal*, 35(2), 275-286.
- Rank, M.R., & Williams, J.H. (2010). A life course approach to understanding poverty among older American adults. *Families in Society*, 91(4), 337-341.
- The National Statistics Office of Georgia (Geostat).
- The Statistical Committee of the Republic of Armenia (Armstat).
- The State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan (Azstat).
- UNSTATS. (2015). *Poverty*. Fact Sheet. Available at: [un.org](https://un.org).
- UNECE. (2009). *Gender equality, work and old age*. Policy Brief. Available at: [https://unece.org/DAM/pau/docs/age/2009/Policy\\_briefs/Policy-brief-Gender.pdf](https://unece.org/DAM/pau/docs/age/2009/Policy_briefs/Policy-brief-Gender.pdf).
- UN Women. (2020a). *Country Gender Equality Profile of Georgia*. Available at: <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2020/Country%20Gender%20Equality%20Profile%20of%20Georgia.pdf>.
- UN Women. (2020b). *Analysis of the Gender Pay Gap and Gender Inequality in the Labor Market in Armenia*. Available at: [https://armstat.am/file/article/analysis\\_of\\_the\\_gender\\_pay\\_gap\\_armenia\\_en.pdf](https://armstat.am/file/article/analysis_of_the_gender_pay_gap_armenia_en.pdf).
- UN Women. (2020c). *Analysis of the Gender Pay Gap and Gender Inequality in the Labor Market in Georgia*. Available at: [https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2020/Gender%20Pay%20Gap\\_Georgia\\_Eng.pdf](https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2020/Gender%20Pay%20Gap_Georgia_Eng.pdf).
- Vartanian, T.P., & McNamara, J.M. (2002). Older women in poverty: The impact of midlife factors. *Journal of Marriage and Family*, 64(2), 532-548.
- World Health Organization. (2011). *Risk factors of ill health among older people*. Fact Sheet.

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute

## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის ეკონომიკის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი საქართველოში. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით წვლილი შეიტანოს ეკონომიკის, განათლების, დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

---

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი  
[www.iset-pi.ge](http://www.iset-pi.ge)  
[iset-pi@iset.ge](mailto:iset-pi@iset.ge)  
+995 322 507 177